სავარჯიშო I. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

1. რომელ ფორმაშია ძირი, წარმომქმნელი აფიქსი და ბრუნვის ნიშანი არასწორად გამოყოფილი?
   ა) ბედნი-ერ-ი; ბ) ქუდ-ოსან-ი; გ) სა-გალობ-ელ-ი;
2. რომელი სიტყვაა დანიშნულების აღმნიშვნელი წარმოქმნილი სახელი?
   ა) შვიდკაცა; ბ) სასამართლო; გ) მეზურნე;
3. რომელი სახელის ფუძეში გაჩნდა <u>ნ</u> თანხმოვანი ფონეტიკური მოვლენის შედეგად?
   ა) ნიბლია; ბ) ნაცარი; გ) წმინდა;
4. რომელ წინადადებაშია საკუთარი არსებითი სახელი?
   ა) ეთერი რომ ჩანთას მოიხსნის, მაშინ შემოაღებს კარს დიდთავა ბიჭი.
   ბ) მიდის გოგონა, დილის ცინცხალ ჰაერში თითქოს ცხვირით მიიკვლევს გზას.
   გ) ის წიგნს გადაშლის და ტუჩების ცმაცუნით წაიკითხავს.
5. რომელ სიტყვას არ ეწარმოება მრავლობითი რიცხვი?
   ა) წიწაკა; ბ) ბედი; გ) თასმა;

სავარჯიშო II. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

6. რომელ სინტაქსურ წყვილშია უბრალო დამატება?
   ა) <u>აბრეშუმის ხელსახოცი</u> შევიძინე;
   ბ) <u>ლამაზი ლარნაკი</u> მაჩუქეს;
   გ) <u>გიშრის დამუშავება</u> შეასწავლეს აბოს;

7. რა სახის სინტაქსური ურთიერთობაა სინტაქსური წყვილის წევრებს შორის?
   „ ყმაწვილმა <u>შეწითლებული სახე</u> დამალა.“
   ა) მართვა; ბ) შეთანხმება; გ) მირთვა;
8. რომელ წინადადებაში არის სასვენი ნიშანი სწორად დასმული?
   ა) გულუბრყვილოდ ბრაზობდა, რომ ცხოვრება, წიგნებს არ ემორჩილებოდა.
   ბ) თივა რომ გათავდა, ნეკერს მისწვდნენ.
   გ) ალექსიმ იგრძნო, რომ ყინულივით გაუხდა, ისედაც გაყინული სახე.
9. რომელ სინტაქსურ წყვილშია ვითარების გარემოება?
   ა) პაპირუსის ქაღალდი; ბ) შალის წინდა; გ) ნაზად გაიღიმა;
10. რა სახის სინტაქსური ურთიერთობაა სინტაქსური წყვილის წევრებს შორის?
    „ყელზე აბრეშუმის <u>ჭრელი ხელსახოცი</u> მოეხვია“.
    ა) მართვა; ბ) მირთვა; გ) შეთანხმება;
11. რომელ წინადადებაში არის სასვენი ნიშანი სწორად დასმული?ა) ხევს რომ გამოსცდა, რკინის ვეება ჯვარს წააწყდა.
    ბ) მზე დასავალს იყო ერთ ღრმა ხეობაში, რომ ჩავედით.
    გ) მთაზე როცა ავედით, და დავინახეთ უზარმაზარი არწივი, გაოცებულნი შევდექით.
12. რომელია მართებული შესიტყვება?
    ა) წარსულ მოგონებებისთვის; ბ) მიუვალ გზებით; გ) შეფერილი მთების;
13. რომელია მართებული შესიტყვება?
    ა) მათმა ოცნებამ; ბ) მათმა დაიძახეს; გ) მათმა გადაწყვიტეს;
14. წინადადების რა წევრია ხაზგასმული სიტყვა? „დაილოცა შენი ენის <u>პირწყლიანობა</u>!“ა) შემასმენელი; ბ) ქვემდებარე; გ) დამატება;

15. წინადადების რა წევრია ხაზგასმული სიტყვები? „იორამს გული გატეხილი ჰქონდა.“

ა) ქვემდებარე; ბ) შემასმენელი; გ) უბრალო დამატება;

სავარჯიშო III. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

16. ანტონიმებისგან შემდგარი კომპოზიტია:

ა) ალღო-გუმანი; ბ) ტკბილ-მწარე; გ) თბილ-თბილი;

17. რომელია არქაიზმი?

ა) სამსჭვალი; ბ) პარლამენტი; გ) ჰამბურგერი;

18. რომელია ნეოლოგიზმი?

ა) კუშტი; ბ) პარტია; გ) ნებიერი;

19. რას ნიშნავს სიტყვათა მყარი შეხამება _ ხელების დაბანა?

ა) სისუფთავის დაცვა; ბ) უდარდელობა; გ) პასუხისმგებლობის აცილება;

20. რას ნიშნავს სიტყვათა მყარი შეხამება _ ენაზე აკერია?

ა) ჩუმი და უტყვია; ბ) გამუდმებით ახსენებს; გ) მუდამ დასცინის;